

თარგმანი პოლონური ენიდან

ფონდ "HumanDoc" წესდება

კონსოლიდირებული ტექსტი

2019 წლის 9 სექტემბრის მდგომარეობით

ზოგადი დებულებები

§ 1

1. ფონდი HumanDoc, შემდგომში ფონდად წოდებული მოქმედებს 1984 წლის 6 აპრილს მიღებული პოლონეთის რესპუბლიკაში ფონდების შესახებ კანონისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად;
2. ფონდი დაფუძნდა მატეუმ მულარსკის, ურშულა ლასკოვსკას, დომინიკა სპრინგერის მიერ, (შემდგომში წოდებული დამფუძნებლებად,) სანოტარო აქტის საფუძველზე, რომელიც გააფორმა ნოტარიუსმა, ქალბატონმა ალდონა ჩამარსკამ ვარშავაში, კონდუქტორსკას ქ. 4, ბ. 29 - ში მდებარე სანოტარო ბიუროში, 2010 წლის თებერვალს ნომრით 212/110.

§ 2

ფონდი წარმოადგენს იურიდიულ პირს.

§ 3


1. ფონდს აქვს ბეჭედი ფონდის სახელწოდებით. შესაძლებელია ბეჭედზე გამოსახული იყოს ფონდის სიმბოლიკაც.
2. ფონდს ასევე შეუძლია ნათარგმნი სახელის გამოყენება.

§ 4

ფონდის იურიდიული მისამართია ქალაქი ოპოლე.

მე, თარგმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვფლობ რა პოლონურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლონურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანჟელა მანიას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuszwili zaświadczam, że biegle posługuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

 პაპუაშვილი

§ 5

1. ფონდი მოქმედებს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ პოლონური კანონმდებლობის და იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც აწარმოებს საქმიანობას ფონდი.
2. წესდებაში გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად ფონდს შეუძლია გახსნას დროებითი ან მუდმივი ტერიტორიული და სპეციალიზირებული წარმომადგენლობები, ე.წ. ფილიალები. ასეთი წარმომადგენლობების შექმნისა და დახურვის წესს, მათ საორგანიზაციო სტრუქტურას და ფუნქციებს განსაზღვრავს წესდების § 5¹ პარაგრაფი.
3. ფონდზე ზედამხედველობას აწარმოებს პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტრო.

§ 5¹

1. ფონდის წარმომადგენლობების შექმნა და დახურვა ხდება გამგეობის მიერ ერთხმად.
2. წარმომადგენლობის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება ადგენს:
 - წარმომადგენლობის ოფისს;
 - წარმომადგენლობის მისამართს;
 - წარმომადგენლობის სახელს, რაც გულისხმობს ფონდის სახელწოდებაში შემდეგი სიტყვების დამატებას: ფონდ Humandoc წარმომადგენლობა ...-ში (ქალაქის სახელი);
 - წარმომადგენლობის საორგანიზაციო სტრუქტურას;
 - წარმომადგენლობის დავალებებს;
 - წარმომადგენლობის მოქმედების ვადას;
 - წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ სხვა დეტალებს.

§ 6

ფონდი იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

§ 7

ფონდის მისია

მე, თარგმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვფლობ რა პოლონურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლონურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანუელა მანიას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuszwilli zaświadczam, że biegle posługuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

ლელა პაპუაშვილი

გამომდინარე იქედან, რომ პოლონური მედია საშუალებები შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სოციალურ პრობლემებს და რთულია პოლონეთში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება, შეიქმნა ფონდი, რომელიც გახლავთ პლატფორმა, რომლის საშუალებითაც ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორში დასაქმებული პირები ერთად ქმნიან საგანმანათლებლო, საინფორმაციო და აუდიოვიზუალურ პროექტებს. გარდა ამისა, აწარმოებენ სოციალურ საქმიანობას, რომელიც განსაზღვრულია ფონდის მიზნებში.

§ 8

ფონდის მიზნები და ამოცანები

ფონდის მთავარი ამოცანა განათლებისა და საზოგადოების (მათ შორის პოლონური საზოგადოების) განვითარების ხელშეწყობაა, კერძოდ კი:

- განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობა;
- გლობალური განათლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- განათლებაზე, კულტურაზე, ინფორმაციაზე და ხელოვნებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა;
- მდგრადი განვითარების, ცხოველთა, ბუნებისა და გარემოს დაცვის ხელშეწყობა;
- კულტურული და ეროვნული მემკვირეობის ძეგლების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ეთნიკური უმცირესობების დაცვა და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ავადმყოფების, ვეტერანების, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა;
- ნიჭიერი ახალგაზრდების დახმარება, ახალგაზრდების დასაქმების და პროფესიული აქტივიზირების ხელშეწყობა;
- მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქალებში, მოხუცებსა და მოწყვლად ჯგუფებში;
- ევროინტეგრაციის ხელშეწყობა და საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის განვითარება;
- ადამიანის და მოქალაქეების უფლებების დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება;
- ჯანმრთელობის დაცვა, მათ შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;

მე, თარჯიმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვვლობ რა პოლონურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლონურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანეელა მანას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuaszwili zaświadczam, że biegle posługuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

ლელა პაპუაშვილი

- მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა.

§ 9

ფონდი ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- მედია საშუალებებისთვის მასალების მომზადება და სოციალური კამპანიების განხორციელება;
- მედია საშუალებებს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა;
- განვითარებადი ქვეყნებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა და ე.წ. განვითარების დახმარების ხელშეწყობა;
- გლობალური განათლების პოპულარიზაცია და განათლების სისტემაში გლობალური განათლების ელემენტების დანერგვა;
- კულტურული ხასიათის ღონისძიებების ორგანიზება (მათ შორის ფესტივალების, კინოჩვენებების, კონცერტების, შეხვედრების, ვორქშოპების, დებატების, სადისკუსიო პანელების, გამოსვლების, სპორტული შეჯიბრებების, გამოფენების, ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების ვერნისაჟების და სხვა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების);
- სხვადასხვა სახის, მათ შორის ფინანსური დახმარების გაწევა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების რეალიზების მიზნით - მაგალითად, ქალებისა და შრომით ბაზარზე ახლად შემოსული პირების, ვეტერანების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა;
- სხვადასხვა სახის, მათ შორის ფინანსური დახმარების გაწევა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდებისთვის, სპორტსმენებისთვის, მეცნიერებისთვის, ხელოვანთათვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის;
- მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა და მოხალისეებისთვის სხვადასხვა სახის გასვლითი შეხვედრების ორგანიზება;
- სხვა ქვეყნებში არსებულ მსგავს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება;
- მოგებაზე არაორიენტირებული და მოხალისეობრივ საქმიანობაზე დაფუძნებული ორგანიზაციებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა, ტრენინგების ჩატარება და საინფორმაციო შეხვედრების გამართვა;
- განათლების ხარისხის ასამაღლებლად ფორმალური და არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია და სხვადასხვა პროექტების გატარება.

მე, თარგმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვვლობ რა პოლინურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლინურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანკელა მანის მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuaszwilli zaświadczam, że biegle posługuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

ლელა პაპუაშვილი

§ 10

დასახული მიზნების მისაღწევად ფონდს შეუძლია მსგავსი მიზნებისა და ამოცანების მქონე ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების დახმარება;

წინამდებარე წესდებაში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ფონდს შეუძლია სხვა სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების ჩატარება და მათში მონაწილეობის მიღება.

ფონდის ქონება და შემოსავალი

§ 11

ფონდის ქონება გახლავთ მისი დაფუძნების დროს ფონდის საკუთრებაში გადაცემული ქონება - 2100 პოლონური ზლოტი (ორი ათას ასი ზლოტი), საიდანაც 1000 პოლონური ზლოტი (ათასი ზლოტი) იხარჯება სამეწარმეო საქმიანობაზე და ფონდის არსებობისას შეძენილ ქონებაზე.

§ 12

1. ფონდის ქონებისა და სახსრების/შემოსავლის წყაროებია:
 - იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შემოწირულობები და გრანტები;
 - იურიდიულ პირთა დოტაციები და სუბვენციები;
 - საზოგადოებრივი შემოწირულობები;
 - ფონდის ქონებიდან მიღებული შემოსავალი;
 - საბანკო პროცენტები;
 - სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები.
2. ისეთი ფონდის შექმნის შემთხვევაში, რომლის გადაცემა მემკვიდრეობით მოხდება, ფონდის გამგეობა ხმათა უმრავლესობით წარადგენს განაცხადს მემკვიდრეობის სახით მიღებული ქონების შესახებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამკვიდროს ფარგლებში მიღებული ქონება მნიშვნელოვნად აჭარბებს ვალებს.
3. გრანტების, შემოწირულობების და მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ განაცხადებს წარადგენს ფონდის გამგეობა;

მე, თარჯიმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვფლობ რა პოლონურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლონურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანუელა მანიას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuaszwili zaświadczam, że biegle posługuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

ლელა პაპუაშვილი

4. ფონდის ქონებიდან მიღებული შემოსავლიდან ხდება წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად გატარებული პროექტებისა და ფონდის საქმიანობის ხარჯების დაფარვა.



§ 13

1. ფონდს შეუძლია პოლიონური კანონმდებლობის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდეს;
2. ფონდი სამეწარმეო საქმიანობას აწარმოებს მხოლოდ ამ წესდებაში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად;
3. ფონდს შეუძლია სამეწარმეო საქმიანობის წარმოება, კერძოდ კი:
 - ფილმების, ვიდეოების და სატელევიზიო პროგრამების გადაღება;
 - ფილმების, ვიდეოების და სატელევიზიო პროგრამების პოსტპროდუქცია;
 - ფილმების, ვიდეოების და სატელევიზიო პროგრამების გავრცელება/დისტრიბუცია;
 - ფილმების ჩვენება;
 - ფილმების ასლის შექმნა ორიგინალი დისკიდან/ვიდეო კასეტიდან;
 - ვიდეო კასეტებით და დისკებით საცალო ვაჭრობა;
 - ვიდეო კასეტებით და დისკებით საბითუმო ვაჭრობა;
 - გაზეთების გამოცემა;
 - ჟურნალების და სხვა ბეჭდური მედიის გამოცემა;
 - წიგნების გამოცემა;
 - სხვა გამომცემლობითი საქმიანობა;
 - აუდიო და მუსიკალური დისკების ჩაწერა;
 - სარეკლამო საქმიანობა;
 - გამოფენების და კონგრესების ორგანიზება;
 - არაფორმალური განათლების ფარგლებში ხელოვნების წრეების ორგანიზება;
 - სათარჯიმნო მომსახურება;
 - ინტერნეტის, ან ე.წ. სავაჭრო სახლების საშუალებით საცალო ვაჭრობის წარმოება;
 - სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სამეცნიერო კვლევების წარმოება;
 - ბაზრისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევა.

სამეწარმეო საქმიანობის წარმოება შესაძლებელია როგორც ფონდის, ისე მის მიერ შექმნილი ორგანიზაციული ერთეულების მიერ.

მე, თარჯიმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვვლობ რა პოლიონურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლიონურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანჟელა მანას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuaszwilli zaświadczam, że biegle posługuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

ფონდი აწარმოებს ხარჯთაღრიცხვას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

§ 14

ფონდის ქონებისა და შემოსავლების განკარგვისას, იკრძალება:

1. სესხის გაცემა გამგეობის წევრებზე, ფონდში დასაქმებულ პირებზე და მათ ნათესავებზე;
2. ფონდის ქონების გადაცემა გამგეობის წევრებზე, ფონდში დასაქმებულ პირებსა და მათ ნათესავებზე მესამე პირისთვის ქონების გადაცემის წესის დარღვევით;
3. ფონდის ქონების გამოყენება გამგეობის წევრების, ფონდში დასაქმებული პირების და მათი ნათესავების მიერ.

ფონდის ხელმძღვანელობა

§ 15

ფონდს მართავს გამგეობა.

ფონდის გამგეობა

§ 16

1. ფონდის მმართველი ორგანოა გამგეობა და მის კომპეტენციაში შედის ფონდის მართვის და საქმიანობის ყველა საკითხი.
2. ფონდის გამგეობა შედგება მინიმუმ 2 წევრისგან.
3. გამგეობა აირჩევა 4 წლის ვადით.
4. ერთი და იგივე პირი შესაძლებელია არჩეულ იქნეს გამგეობის წევრად ზედიზედ რამდენჯერმე.
5. ფონდის გამგეობის წევრს უფლებამოსილება უწყდება მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გამგეობის ვადის ამოწურვის შემდეგ, დამფუძნებლის მოთხოვნით, ან გამგეობის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში.
6. გამგეობის ახალი წევრები აირჩევიან დამფუძნებლის მიერ. თითოეულ დამფუძნებელს შეუძლია გამგეობის მინიმუმ ერთი წევრის არჩევა, მხოლოდ იმ პირობით, თუ დანარჩენი დამფუძნებლებიც ხმათა უმრავლესობით დაამტკიცებენ შერჩეულ კანდიდატურას. თუ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვერ

მე, თარჯიმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვვლობ რა პოლონურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლონურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანეელა მანიას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuaszwili zaświadczam, że biegle postępuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

ლელა პაპუაშვილი

- იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, მისი ხმა უთანაბრდება კრებაზე დამსწრე დამფუძნებლების ხმას, რაც ახალი კანდიდატურის დანიშვნას გულისხმობს.
7. დამფუძნებლებს უფლება აქვთ გამგეობის ახალ წევრად წინა მოწვევის გამგეობის წევრი აირჩიონ.
 8. დამფუძნებლებს ხმათა უმრავლესობით შეუძლიათ უფლებამოსილება შეუწყვიტონ გამგეობის იმ წევრს, რომელიც ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, ან გამიზნულად არ მოქმედებს ფონდის საკეთილდღეოდ. ასეთ შემთხვევაში, თუ გამგეობის წევრთა რაოდენობა ორ ადამიანზე ნაკლებია, დამფუძნებლები ვალდებული არიან გამგეობის ახალი წევრი აარჩიონ.
 9. გამგეობის წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარეს.
 10. გამგეობა გადაწყვეტილებებს ხმათა უმრავლესობით ღებულობს. ხმათა ერთნაირი რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
 11. გამგეობის თავმჯდომარე გამგეობის სხდომებს საკუთარი ინიციატივით, ან გამგეობის რომელიმე წევრის სურვილისამებრ იწვევს.
 12. გამგეობას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მაშინ, როდესაც სხდომას სულ ცოტა 2 წევრი ესწრება.
 13. გამგეობის სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაცია უნდა გადაეგზავნოს ყველა წევრს.
 14. გამგეობის თავმჯდომარე და წევრები ფუნქცია-მოვალეობის შესრულებისთვის იღებენ ანაზღაურებას.
 15. გამგეობის წევრები თავისი მოვალეობების შესრულების შესახებ განაცხადს წარუდგენენ თავმჯდომარეს.
 16. ფონდის გამგეობას შეუძლია ფონდის წესდებაში ცვლილებების შეტანა, ფონდის სახელის, სათაო ოფისის შეცვლა, ფონდის წარმომადგენლობების შექმნასა და დახურვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, ფონდის მისიის, სტრატეგიის, ძირითადი მიმართულებების, ამოცანებისა და მიზნების შეცვლა, ფონდის რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება. ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება ერთხმად.

§ 17

ფონდის გამგეობის კომპეტენციაა:

- ფონდის სტრატეგიის და ძირითადი მიმართულებების დამტკიცება;
- ფონდის საქმიანობის ზედამხედველობა;
- ფონდის ბიუჯეტის დამტკიცება და ფინანსების განკარგვა;

მე, თარჯიმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვვლობ რა პოლინურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლინურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანეელა მანიას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuaszwili zaświadczam, że biegle posługuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

ლელა პაპუაშვილი

- დებულებების დამტკიცება;
- ფონდის სახსრების განკარგვა;
- ფონდში დასაქმებულების ფუნქციების და მათი ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
- მიღებული შემოსავლების - გრანტების, შემოწირულობების, სუბვენციებისა და დოტაციების განკარგვა;
- ფონდის სახელით მოქმედება და მესამე პირებთან ურთიერთობაში ფონდის წარდგენა;
- ფონდის რეორგანიზაციასთან, ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით განცხადების გამზადება;
- ფონდში დასაქმებულების სამსახურში აყვანა, მათი გათავსუფლება და ანაზღაურების დადგენა;
- წლიური შედეგებისა და საფინანსო საქმიანობის ამსახველი ანგარიშის დამტკიცება და წარდგენა კანონმდებლობის შესაბამისად;
- სხვა ქმედებების განხორციელება, რაც არ შედის გამგეობის ფუნქციებში - ამ მიზნით უფლებამოსილი პირების დანიშვნა.

ფონდის წარმომადგენლობა

§ 18

1. ფონდის წარმომადგენლობის უფლება აქვს ფონდის გამგეობას.
2. ფონდის წესდებაში ცვლილებების შეტანის, ფონდის სახელის, სათაო ოფისის შეცვლის, ფონდის წარმომადგენლობების შექმნისა და დახურვის, ფონდის მისიის, ამოცანებისა და მიზნების შეცვლის, ფონდის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია ერთხმად ფონდის გამგეობას.

რეორგანიზაცია/სხვა ფონდთან გაერთიანება

§ 19

1. მიზნების უფრო ეფექტურად განსახორციელებლად ფონდს შეუძლია სხვა ფონდთან გაერთიანება.

მე, თარჯიმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვფლობ რა პოლონურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლონურიდან ქართულზე და ვიდოვეი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანუელა მანიას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuaszwili zaświadczam, że biegle posługuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anzeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

ლელა პაპუაშვილი

2. დაუშვებელია სხვა ფონდთან გაერთიანება, თუ გაერთიანების შედეგად მნიშვნელოვნად იცვლება ფონდის მიზნები.

§ 20

ფონდის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ერთხმად ღებულობს ფონდის გამგეობა.

ფონდის ლიკვიდაცია

§ 21

1. ფონდის ლიკვიდაცია ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მიღწეულ იქნა მიზნები, რისთვისაც შეიქმნა ფონდი, თუ ამოიწურა ფონდის ქონება, ან ფონდის გამგეობის გადაწყვეტილების შესაბამისად.
2. ფონდის ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობის მიერ დანიშნული ლიკვიდატორი.

§ 22

ფონდის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფონდის გამგეობა ერთხმად.

§ 23

ფონდის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გამგეობამ შესაძლებელია გადასცეს პოლონეთში მოქმედ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ იგივე, ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ ფონდს.

გამგეობის თავმჯდომარე: ურშულა მარტინიშინ /ხელმოწერა/

გამგეობის წევრის : დომინიკა სპრინგერ /ხელმოწერა

[დასმულია შტამპი:

ფონდი-ჰუმანდოკი (HUMANDOC)

იან კროპიდლას ქ.8ა , ოფ.10 ქალაქი ოპოლე 45-092

ეროვნული სასამართლო რეესტრის ღშ № 0000349151

სარეგ.ს. № 142295548 , საგადასახ. №5272622103]

მე, თარჯიმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვფლობ რა პოლონურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლონურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუსს ანუ ელა მანიას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuaszwili zaświadczam, że biegle posługuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

ლელა პაპუაშვილი

ნოტარიუსი მარჩინ ბრილას სანოტარო ბიურო
ქ. ოპოლე, კოსჩიუშკოს ქ№ 24/1; ტელ: 455-40-70; ფაქ: 547-43-29, მობ: 505 577 300
e.mail:kancelaria@notariusz-bryla.pl

შტამპი:

სანოტარო ბიურო
მარჩინ ბრილა
ნოტარიუსი
45-062 ოპოლე, კოსჩიუშკოს ქ№ 24/1;
ტელ: 77 455-40-70; 505 577 300
სარეგ.ს. № 16150821 , საგადასახ. №865-223-66-03

რეესტრის ნომერი A-10258/2019

ორი ათას ცხრამეტი წლის ოთხი დეკემბერი -----

მე, ნოტარიუსი მარჩინ ბრილა, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე:
ქ.ოპოლე, კოსჩიუშკოს ქ№ 24/1 , -----

ვადასტურებ წინამდებარე ამონაწერისორიგინალთან შესაბამისობას -----

საქმის შესრულებისთვის გადახდილია:-----

- სანოტარო მომსახურების ჰონორარი (პარ. 13, პ.2. იუსტიციის სამინისტროს 2004 წლის 28 ივნისის განკარგულების, მაქსიმალური სანოტარო გადასახადების შესახებ, თანახმად) (2018 წ. Dz.U 272 პ. შემ.ცვლილებებით)48,00 ზლ-----

- მომსახურების დღგ - 23 %, მუხ.41 და 146აა პ.1 თანახმად) (2018 წ. Dz.U2174 პ. შემ.ცვლილებებით -----11,04 ზლ. 11.03.2004 განკარგულების შესაბამისად მომსახურების და საქონელის გადასახადების შესახებ, (2018 წ. Dz.U2174 პ შემ.ცვლილებებით) სულ გადახდილია-59,04 ზლ-----

მარჩინ ბრილა

ნოტარიუსის /ხელმოწერა/

მრგვალი ბეჭედი პოლონეთის რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით და წარწერით
პოლონურ ენაზე: ნოტარიუსი მარჩინ ბრილა, ოპოლე, *1*

მე, თარჯიმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვვლობ რა პოლონურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი პოლონურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანუელა მანიას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuaszwili zaświadczam, że biegle postuguje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

ლელა პაპუაშვილი

A-0145-296/19

აღნიშნულით ვადასტურებ ნოტარიუსის მარჩინ ბრილას ხელმოწერას და ქ.
ოპოლესში ნოტარიუსის მარჩინ ბრილას საკანცელარიო ბიუროს ბეჭედს

სახაზინო გადასახადი – 26 ზლოტი

ტორუნი, 04 დეკემბერი .2019წ.

/მრგვალი ბეჭედი პოლონეთის რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით და
წარწერით პოლონურ ენაზე: ოპოლეს საოლქო სასამართლო*10*/

პაველ მეჰლ

საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

ხელმოწერა /არ იკითხება/


აპოსტილი
APOSTILLE

(Convention de La Haye du 5 octobre 1961)

1. ქვეყანა: პოლონეთის რესპუბლიკა
მოცემულია ოფიციალური დოკუმენტი
2. ხელმოწერა: პაველ მეჰლ
3. რომლის თანამდებობაც არის: თავმჯდომარე
4. დამტკიცებულია ბეჭედით/შტამპით: ოპოლეს საოლქო სასამართლო
დამოწმებულია
5. ადგილი : ვარშავა 6. თარიღი: 2019-12-05
7. დამოწმებულია: პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ
8. Nr: 67443/2019
9. ბეჭედი/ შტამპი: [მრგვალი ბეჭედი პოლონეთის რესპუბლიკის გერბის
გამოსახულებით და წარწერით პოლონურ ენაზე: საგარეო საქმეთა სამინისტრო * 12*]
10. ხელმოწერა: / არ იკითხება /დასმულია შტამპი (ზბიგნიეფ ავგუსტინ - საკონსულო
დეპარტამენტის რეფერანტი ლეგალიზაციის საკითხებში)

მე, თარჯიმანი ლელა პაპუაშვილი სრულყოფილად ვფლობ რა პოლონურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი
პოლონურიდან ქართულზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი
პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ანკელა მანიას მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს

Ja, tłumaczka Lela Papuaszwili zaświadczam, że biegle posługuje się językiem polskim . Przez mnie został przetłumaczony
niniejszy dokument z języka polskiego na język gruziński . Zostałam uprzedzona przez notariusza Anżeli Mania za
odpowiedzialność w przypadku niepoprawnego tłumaczenia. Stwierdzam zgodność tłumaczenia, co potwierdzam
własnoręcznym podpisem w obecności notariusza.

 პაპუაშვილი